saqarTvelo
aWaris avtonomiuri respublikis janmrTelobisa da socialuri dacvis ministri

q. baTumi **” 28 ” oqtomberi 2013 w.**

brZaneba #12/126

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესრულებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობის გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის, ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის №23 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,მ" და ,,ჟ” ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფა დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდეგ- სამინისტრო) იურიდიულ დეპარტამენტს (ნ. მგელაძე).

2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნოს სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ანა მელაშვილი (ტელ: (0-422) 24 79 07).

3. სამინისტროს საქმისწარმოების განყოფილებამ (ლ. ჩხარტიშვილი) სამინისტროში შემოსული განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ დაუყოვნებლივ, უშუალოდ გადასცეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

4. ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანაშემწე - ლიზა თედორაძე (ტელ: (0-422) 24 79 61), რომელიც

უზრუნველყოფს სამინიტროს ვებგვერდზე (www.molhs.gov.ge) საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას, აგრეთვე დადგენილი პერიოდულობით მის განახლებას, განახლების თარიღის მითითებით.

5. სამინისტროს ყველა საჯარო მოხელე, განურჩევლად მისი რანგისა და დაკავებული თანამდებობისა, ამასთან, ყველა დამხმარე მოსამსახურე ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ გამოქვეყნების მიზნით მოთხოვნილი ინფორმაციის დროულ დამუშავება და მისთვის გადაცემა, ასევე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ (იმავე დღეს) შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება კომპეტენციის ფარგლებში. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში (თუ ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოცულობისაა ან ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების მოძიება ან დამუშავებაა საჭირო) დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის პირს.

6. სამინისტროს ვებგვერდზე ინფორმაცია ქვეყნდება ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის №23 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

7. სამინისტროს ვებგვერდზე ინფორმაცია უნდა განთავსდეს ისეთი ფორმით, რომ მისი ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება შესაძლებელი იყოს ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა მიმართ, ვინც დაარღვევს ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს, გამოყენებული იქნას ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინის-ტრაციული ღონისძიებები.

7. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადახდილ იქნეს ნებისმიერ საბანკო დაწესებულების მეშვეობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა'', საიდენთიფიკაციო კოდი - 245 445 255; ანგარიში - 200 122 900, ბანკის კოდი –TRESGE22; საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300 923 173.

8. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

10. სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (ი. მახარაძე) უზრუნველყოს ბრძანების დადგენილი წესით გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №9) და შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მ ი ნ ი ს ტ რ ი ნუგზარ სურმანიძე